

შპს „ეგრის-აუდიტი“  
სარ/ნ SARAS-F-596572



LTD "EGRIS-AUDITI"  
REG/N SARAS-F-596572

მისამართი: ქ. სენაკი ქაჯკავაძის ქ #25 ტელ: 555 47 99 26

Address: chavchavadze str. N25 Tel: 555 47 99 26

## აუდიტორული დასკვნა

### AUDITOR CONCLUSION

ქ. სენაკი  
SENAKI

16 აპრილი 2021

წელი  
year

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-ს  
2020 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-ს დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის №1/05 წერილისა და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შპს „ეგრის“-აუდიტის (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-596572) აუდიტორმა ლევთერ ხოფერიამ სერთიფიკატი ზ№6/254, (ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-581044), ჩაატარა შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-ს 2020 წლის წლიური ბალანსისა და საფინანსო ანგარიშგების საქმიანობის აუდიტი.

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-ს იურიდიული მისამართია: ფოთი რეკავას 22 (ფაქტობრივი მისამართი: ფოთი, მშვიდობის 4), საქმიანობის სახე – ტელემაუწყებლობა.

რეგისტრაციის თარიღი 1998 წლის 11 ივლისი, რეგისტრაციის № 06/4-776; ობიექტის კრწანის-მოაწმინდის სასამართლოს მიერ.

მინიჭებული აქვს საინდივიდუალური კოდი 204405811

ანგარიშსწორებას ახორციელებს „თი ბი სი“ ბანკის მეშვეობით

ანგარიშის № GE98TB0400000001467771

დამფუძნებლები: მამუკა თოდუა 67% და გელა ჟვანია 33%

დირექტორი: გერმანე სალია

შეფასებისას ცხელმძღვანელობდი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და ნორმებით.

აუდიტორული დასკვნა მოიცავს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სასწრების ბიძგობის, მარაგების დებიტორ-კრედიტორების, მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტი. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოყოფილი მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. ასევე აუდიტი გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. მჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესაძენად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური საქმიანობის ანალიზი მოიცავს ერთ კალენდარულ წელს.

მოცემულ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა სულ 127474,25 ლარი.

მათ შორის: შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან – 123024,25 ლარი.

ფინანსური შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადის საშეღავათო თანხა)–4450 ლარი.

მოცემულ პერიოდში საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 70474,61 ლარი.

მათ შორის: შრომის ანაზღაურება – 32398 ლარი, კომუნალური ხარჯები –

2037,78 ლარი, წყალი – 97,98 ლარი, ძსაშუალებების ცვეთა – 6671,93 ლარი,

საწკაუის ხარჯი - 1338,22 ლარი, შესყიდვები საგადასახადო დოკუმენტებით - 4005,19 ლარი, შესყიდვები ხელშეკრულებებით - 2412,78 ლარი, საპენსიო დანამატი 2% - 647,96 ლარი, სხვა გაცემები - 1983 ლარი; რემონტის ხარჯები - 8000 ლარი; ხარჯი დაუსაბუთებელი დასაბეგრი - 1120 ლარი; ინვენტარის შესყიდვა - 4600 ლარი; მივლინების ხარჯები - 4500 ლარი; ქონების გადასახადი - 460,41 ლარი; საბანკო ხარჯი - 201,36 ლარი.

საანგარიშო პერიოდის მოგების რეინვერსია - 50000 ლარი.

ბიუჯეტის გადასახადი:

დღგ - 13025,84 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 6746,60 ლარი, ქონების გადასახადი 460,41 ლარი; მოგების გადასახადი - 197,65 ლარი, სხვა დარიცხული ვალდებულებები - 0 ლარი.

საწარმოს 2021 წლის 1 იანვრისთვის ერიცხება საკუთარი კაპიტალი სულ 67704,86 ლარი. მათ შორის: საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი, სარეზერვო კაპიტალი 65704,86 ლარი.

საანგარიშო პერიოდში შპს-ს მოგება შეადგენს - 6999,64 ლარს.

საზოგადოების აქტივებმა საანგარიშო წლის ბოლოს შეადგინა 67704,86 ლარი. მათ შორის:

- ფულადი საშუალება - 158 ლარი;
- შენობა-ნაგებობები - 0 ლარი;
- ოფისის აღჭურვილობა - 31686,86 ლარი;
- გადამცემი მოწყობილობები - 35860 ლარი;
- მიწა - 0 ლარი.

აუდიტორული შემოწმების შედეგად მიგვაჩნია საწარმოს საფინანსო საქმიანობა სწორად არის წარმართული, რის შედეგადაც 2020 წელს გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეფასდა დადებითად.

შპს „ეგრის-აუდიტი“-ს სენაკის

წარმომადგენელი:  თ. ტაბაღუა

აუდიტორი:  /ლ. ხოფერია

